პროლეტარელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 77 (19219) ოთხშაბათი, 3 აპრილი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

როცა საქმეს გულისყური აკლია

ისინი, ვინც პირუტყვის გამოზამთრებისათვის თადარიგი ვერ დაიჭირა, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — შემოაკლდათ საკვები, სათბობი, გაჯანდაგდა საკონელი, გაწყდა ნამატი. ჰოდა, ზამთრის გამოცდაც სწორედ ეს არის. იქ კი, სადაც საქმეს არ აკლია კოლმეურნეობათა გამგეობების, პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების გულმოდგინება, პრაქტიკული დახმარება, მეცხოველეები ზამთრის სიძნელეებს შედარებით იოლად სძლევდნენ. ეს შეიძლება ითქვას სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის, ბოდბისხევის, ბოდბის კოლმეურნეობების ფერმებსა და მთის მესვეურებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრგან ასე არ არის.

ტიბაანის კოლმეურნეობაში (ბრიგადირი — ს. სომხიშვილი), ძველ ანაგაში (ბრიგადირი — ო. ბეგიაშვილი) მეწველ პირუტყვს უხეში საკვები — ნამჯა, თივა ეძლევა წინასწარ შეუმზადებლად. მოუწესრიგებელია დეზობარიერები, სამმობიარო განყოფილებები და სარძეკვე ლაბორატორიები; წყობდნენ გამოსულია რძის მაცივრები. ვაჭირის კოლმეურნეობის მეძროხეობის ბრიგადაში (ბრიგადირი — დ. სესიტაშვილი) არ აღმოჩნდათ ნამატის მიღების, საერთოდ, პირუტყვის აღრიცხვის ჟურნალი.

კარგა ხანია დაგმობილია საკოლმეურნეო და კერძო პირუტყვის ერთმანეთში შერევა. მაგრამ ხუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში" ეს ან არაფრად მიაჩნიათ ან ხელს არ აძლევთ. მეძროხეობის მარტო მეოთხე ბრიგადაში 16 სული ძროხა, 1 დეკეული, 14 ხბო კოლმეურნეობის პირუტყვთან ერთად არის და მისთვის განკუთვნილი საკვებით იკვებება. ამავე კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში 408 სული ცხვარია შერეული; ძველ ანაგის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში [illegible] სული მსხვილფეხა პირუტყვია შერეული კოლმეურნეობის ძროხებში. ეს მაშინ, როცა ამ კოლმეურნეობებში საკვები აკლია; ერთ სულ პირუტყვზე საშუალოდ 16-ის ნაცვლად დამზადებული აქვთ 12-13 ცენტნერი საკვები ერთეული. მეღორეობის, მეცხვარეობის ფერმებში თავის დროზე არ ხდება ნამატის აღრიცხვა, გამწყდარ პირუტყვზე აქტების შედგენა.

ამ და სხვა დარღვევებისათვის პარტიკომი კონტროლის კომიტეტმა საყვედური გამოუცხადა ფერმის გამგეებს, ბრიგადირებს, მაგრამ რატომღაც მთავარი სპეციალისტები და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები კი ჩრდილში დარჩნენ. ამდენა, მომავალში აქედან სათანადო დასკვნების გამოტანენ.

ვლ. ბეჟელიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნება 1985 წლის 5 აპრილს 14 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 3 და 4 აპრილს 9-დან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონი: 99-08-54; 99-67-16; 99-92-79.

5 აპრილს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 9 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1985 წლის 5 აპრილს 18 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

3 აპრილს 17 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომთა დარბაზში გაიმართება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლის მორიგი მეცადინეობა.

მოხსენებას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-ძიებითად მიმართულებათა შესახებ გააკეთებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი აკადემიკოსი გ. კ. ხარიანინი.

ბრიგადაში კომუნისტი მუშაობს

ბევრი დრო, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა სულ უფრო თვალნათლივ ადასტურებს, რომ ბრიგადა შრომითი კოლექტივის ძირითადი საწარმოო და სოციალური ბირთვია. დიდია მისი შემოქმედებითი პოტენციალი. სწორედ აქ ხდება ყველაზე უკეთ პირადი და კოლექტიური ინტერესების შესაბამება, ორგანიზებულობისა და ფუნქციონირებისა და ადამიანური ურთიერთურთიერთობების ჩანერგვა-განმტკიცება. ყოველივე ეს კიდევ უფრო დამაჯერებლად მოწმობს ახალი ტიპის ბრიგადული ფორმის — კომპლექსური და გამჩეხი ბრიგადების მაგალითზე, რომლებიც ერთიანი განრიგით მუშაობენ და ანაზღაურების პრინციპიც საბოლოო შედეგია.

ფიქრი ჩვენი რესპუბლიკის ქარხნებსა და უბრიკებში, საამშენებლო ორგანიზაციებში და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იღვნის, მუშაობს, მოქმედებს ათიათასობით ბრიგადა. ზოგ საწარმოში ბრიგადების თითქმის 60-70 პროცენტი უკვე გადავიდა შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალ ფორმაზე. გამოდიოდეს გვარწმუნებს, რომ საუკეთესო შრომითის მაჩვენებლებს სწორედ იქ აღწევენ, სადაც აქტიურად მოქმედებენ პარტორგანიზაციები, სადაც ამჟამად ჩანს კომუნისტთა ავანგარდული როლი. ამ პატარა კოლექტივებში უსაფუძვლებელია მათი სიტყვა, ცოდნა, გამოცდილება, მათი პირადი მაგალითი.

ამიტომ სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები და ბიუროები, რომლებიც უფრო მომზადებული, ძლიერი, აქტიური და ორგანიზატორული უნარის მქონე კომუნისტებით განამტკიცებენ წარმოების გადამწყვეტ უბნებს. ამ მხრივ მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროშუნგლის" და ოდფაქალაქის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში.

რა თქმა უნდა, ბრიგადის მებრძოლი ორგანიზატორი პარტიული ჯგუფია. იგი დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ თითოეულ მუშას ჩაუნერგოს ნამდვილი მეუღლის თვისებები, საქმისადმი შეჭნებული დამოკიდებულების გრძნობა. საუკეთესოდ მომუშავე პარტჯგუფები შეუნელებლად ადევნებენ თვალყურს, თუ როგორ და ვის ხარჯზე იზრდება კომუნისტთა კოლექტივები, ურთიერთობენ ერთმანეთს დამრიგებლობის განვითარებას, დისციპლინის, ორგანიზებულობისა და ეზრახიანის განმტკიცებას.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში კარგა ხანია ხანელი გაითქვა იმ ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ვახტანგ კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადაში იმეა მეტად საყურადღებო ინიციატივა, რომლის არსი ის არის, რომ გამოშვებული ნაწარმის შრომატევადობა შეამცირონ თითოეული შუშაკის, პროდუსიული ოსტატობის გაზრდის გზით. და აი, უკვე მეორე წელია ნარმატებით სორიელდება კიდევ ამ მხრივ ნაკისრი ვალდებულებანი. ამ და სხვა ბევრ საინტერესო საქმეთა სული და გული კი კომუნისტები არიან, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობს პარტიული ჯგუფი.

ხაერთოდ, საავიაციო ქარხნის ყველა ბრიგადის-საქმეებში კარგად ჩანს პარტიული გავლენა. როგორც ცნობილია, კომუნისტთა რაოდენობა რიდი იძლევა საშუალებას, რომ ყველგან შეიქმნას პარტიული ჯგუფი. ამიტომ საამქროთა პარტიულმა ბიუროებმა ასეთ ბრიგადებში დამტკიცეს პარტორგანიზატორები, რომლებიც ინიციატიანად, შინაარსიანად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. სწორედ მათ მიერ განხორციელებული ორგანიზატორული და პოლიტიკური ღონისძიებების სიკეთე კი, რომ ნამყვანი საამქროების კოლექტივებში, რომელთა საწარმოო უკუგება არსებითად განსხვავდებ მთელი ქარხნის შუშაობის საბოლოო შედეგს, ბოლო ხანს ერთიორად შემცირდა გაცდენების რიცხვი, შესამედიო იყლო კადრების დენადინამ.

არავითარი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული თვითონ კომუნისტს ბრიგადირზე. ამიტომ შეუოხვევითი არ არის ის ყურადღება, რომელსაც პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები იჩენენ ბრიგადირებისადმი — საშუალო რგოლის ამ კადრებისადმი. ბევრგან შექმნილია მათი სწავლების, მომზადების მუყობრი სისტემა, ზრუნავენ ბრიგადირთა კადრების რეზერვისათვის, აწყობენ მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებას, პარტიული კომიტეტების, ბიუროების სხდომებზე განიხილავენ მათს ანგარიშებს...

უკანასკნელ ხანს, როცა ჩვენი რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკაში სულ უფრო მტკიცედ ჩამოყალიბდა კრებებზე კომუნისტთა ანგარიშების მოსმენისა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცების პრაქტიკა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწორედ საშუალო რგოლის წინამძღვრების პასუხისმგებლობის ამაღლებას. ამიტომ არის, რომ დღემდე უკვე ათობით კომუნისტი ბრიგადირის დახასიათება დამტკიცებული. ეროვნული მთავარი საწარმოო მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის № 5 საწარმოო უკანრიგო ბრიგადის ბრიგადირი ციხანა დეკანოიძე. იგი შარშან იანვარში თავისი ხერხელით გადავიდა ამ ბრიგადაში, რომელიც ძალიან ჩამორჩენილი იყო. მოკლე ხანში აქ მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა, ც. დეკანოიძის ინიციატივით ბრიგადა დღე კოლექტიური ოჯახის წესით მუშაობს. ახალი მაგალითები ციტა რიდია.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი საწარმოო ბრიგადის მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩენა დროის მოთხოვნებს: ამას წინათ კახეთის რაიონის კოლიუნყაოს საბჭოთა მეურნეობის კომუნისტებმა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელს კონსტანტინე ნადირაძეს ხსრიდან იმიტომ უსაყვედურეს კრებაზე და მის პარტიულ დახასიათებაშიც ნაწერეს, რომ „უკანასკნელი წლების მანძილზე ბრიგადაში გაუარესდა საწარმოო მაჩვენებლები, ირღვევა შრომის დისციპლინა, იგი, როგორც სპეციალისტი, ნაკლებად ზრუნავს მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, არ სრულდება შრომის ნაყოფიერების დაკანონება, იზრდება პროდუქციის თვითღირებულება... პასიურობს პარტიულ დავალებათა შესრულებაში"...

კომუნისტთა ასეთი პრინციპული მომკითხველობა საჭიროა ყველგან. მაგრამ როგორც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებულმა ანგარიშგება-არჩევნებმა გვიჩვენა, ზოგან, განსაკუთრებით კი საბრიგადო პარტორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების კრებებზე, წარმატებათა შესახებ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენენ, ვიდრე პრობლემებზე, არსებულ ნაკლოვანებებზე. საერთოდ ცუდად არ შუშაობს ვეკეკკორის რაიონის გურძელის კოლმეურნეობის № 5 ბრიგადა, მაგრამ ხერხიოსული ხარვეზებიც აქვს. ბრიგადაში არიან ფრენიანები, ზოგიერთი აგიტატორი პასუხისმგებლობით არ ეკიდება მოვალეობას. და აი, ამ ბრიგადის კომუნისტებმა კრებაზე გაუბედაობა გამოიჩინეს, მათს კრიტიკას ზუსტი მიზანი არ ჰქონდა.

ბრიგადებში პარტიული გავლენის ყოველმხრივ გაძლიერებისათვის, იქ მომუშავე თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის დღის წესრიგში დგება პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელობა, საბრიგადო პარტორგანიზაციათა, პარტორგანიზატორთა და პოლიტორგანიზატორთა კარგად მოფიქრებული სწავლება, მათთვის ცოცხალი ინსტრუქციების გაწევა.

როგორც ცნობილია, ბოლო ხანს შესამჩნევად გაიზარდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადათა რიცხვი, ამიტომ პარტიულმა ბიუროებმა და კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდებთან შუშაობას უმუალოდ ბრიგადებში, გამოცდილი კომუნისტების დახმარებით მოამზადონ ისინი პარტიის რიგებში შესასვლელად. კომუნისტებით საწარმოო ბრიგადების განმტკიცება ის მთავარი პირობაა, რომ უფრო შემოქმედებითად იღვაწონ, სრულად გამოიყენონდეს მათი აღმზრდელობითი უნარი და უპირატესობა.

ბრიგადა, როგორც წესი, პატარა კოლექტივია და მასში თითოეული ადამიანი ისე მოჩანს, როგორც ხელისგული. აქ კარგად იციან, ვინ შუშაობს გულით და ვინ ზარმაცობს, ვის შეგიძლია დაეყრდნო და ვინ ღალატობს საქმეს, უშვებს ენს, არღვევს გრაფიკს. ამიტომ პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა შესანიშნავმა მოწოდებამ — „პატივი ეროვნულ შრომის მიხედვით" და სხვა შუშურმა ინიციატივებმა ბრიგადებში.

ეს უკვე დამთავრდა მეფრომეტე ხუთწლედის ბოლო წლის შესამეფრეკეი. ნინ უფრო დიდი და დაძაბული შუშაობა მოგველის. და სწორედ იმაზე, როგორი აქტიურობით, როგორი განწყობილებით და შემოქმედებით იშრომებენ ბრიგადები — ყველაზე მახლობელი საწარმოო ერგოლები, დამოკიდებულია ყველა ჩვენი გეგმის, ყველა ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელების ბედი.

ზ. ამაშუკელი.

შაბათობაზე ციტრუსებს მოუვლიან



ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 115 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის დღეს შრომის უმაღლესი ნაყოფიერებით იმუშაონ. გაზაფხულზე. კოლმეურნეებს ბევრი საზრუნავი აქვთ. გამუდმებულმა თოვამ ხერეოზული ზიანი მიაყენა ციტრუსებს. თოვლის 1,5 მეტრიანმა ფენამ ნარგავების ტოტები ჩამოამტვრია, ეანგებმა და ქარმა ხეები დააზიანეს. „წითელი შაბათობის" დროს გადაწყვეტილია ცენტრუსის პლანტაციებში გასხლან ხეები, გულმოდგინედ შემობარონ, გაძლიერებული დოზებით შეიტანონ ნიადაგში ორგანული სასუქები.



ხურათზე: მოწინავე მეკანიზატორი ისრაფილ სურმანიძე. მას შაბათობაზე დავალებული აქვს პლანტაციაში ორგანული სასუქის შეტანა.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპ.).

ხარისხიანი პროდუქცია, სწრაფი ტემპი!

ზესტაფონის „საქკაბელის" ქარხნის კოლექტივი დიდი მონდომებით იბრძვის საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის და აოწევს კიდევ მიზანს. პირველ კვარტალში მეკაბელეებმა არ დაიოლეს-ტეს არც ერთი მომზმარებელი და მაშასადამე, ასი პროცენტით შეასრულეს მიწოდების ვალდებულება, რაც დიდად მისასალმებელი ფაქტია. საქმე ის არის, რომ საწარმოში მიმდინარეობს ეკონომიური ექსპერიმენტი, რომლის თანახმადაც ზუსტად ეს მაჩვენებელია წამოწეული წინა პლანზე. მისი შესრულება ექსპერიმენტის უცილობელი პირობაა.

მიწოდების ვალდებულების შესრულება განაპირობა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის სტაბილურობისათვის შეუხელებელმა ბრძოლამ. ვეგმის გადამეტებით დაამზადა 200 ათასი მანეთის ნაწარმი და მთელი მატება მიიწევოდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 107,1 პროცენტი შეადგინა.

უთუოდ აღსანიშნავია ზესტაფონელთა საგულდაგულო მუშაობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ მხრივ მათ ერთ-ერთი პრიელი ადგილი უკავიათ როგორც რესპუბლიკაში, ისე კავშირში. მიაქციეთ ყურადღება: იმ თერმეტი ძირითადან სახეობის პროდუქციიდან, რომლებსაც აქ უშვებენ ათს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს მინიჭებული. ეს კი ნიშნავს, რომ წარმოების მთლიან მოცულობაში საპატო ხუთკუთხედიანია პროდუქციის 87 პროცენტი.

გრძელდება ძიება საწარმოს შემოსავლის გადიდებისათვის, დაენერგილია უნარჩენი წარმოება, რომელსაც იყენებენ ფართო მოხმარების საქონლის დასამზადებლად.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის, სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის მეკაბელეებმა გადაწყვიტეს წლეულ ორი დღე დაზოგილი მასალებითა და ნედლეულით იმუშაონ. როგორც გამოანგარიშებამ ცხადყო, მარტო პირველ კვარტალში გაწეული ეკონომია უზრუნველეყოფს ქარხნის შეუფერხებელ მუშაობას ერთი დღის განმავლობაში. თუ მომდევნო კვარტალებშიც ასეთ თაფარიგს დაიჭერენ, მაშინ ისინი ორ კი არა სამ-ოთხ დღისაც იმუშაებენ დაზოგილი ნედლეულით.

საწარმოს კოლექტივის ვალდებულებაში ჩაწერილია: „საქკაბელის" კოლექტივი კონსტატაციის დღისათვის — 7 ოქტომბრისათვის შეასრულებს მეთრმეტე ხუთწლედის გეგმას და დაავლებს გადამეტებით 5 მილიონ 200 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებს. ზესტაფონელთა სიტყვა და საქმე ერთია.

ფინანსთა საბინისტრო:
უფროსი მოადგილე
ბაანგარიშება
ქვეყანაში პირველად აქ დაიწყეს ფინანსურ გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის შექმნა. მისი გამოყენების პირველი შედეგებია ბიუჯეტების შედგენასა და შესრულებასთან დაკავშირებული მთელი ფინანსური დოკუმენტაციის მომზადებასა და შეთანხმებაში ოპერატიულობის ზრდა, საოპერაციო ოპერაციების გადავილება, ანალიზური მუშაობის გაღონძაება და მიღებული ინფორმაციის უტყუარობის გადიდება. ავტომატიზებულმა სისტემამ აღრიცხა ოპერაციების წარმოების ოტემიალური „ჯაჭვი", რომლის მეოხებითაც სამეიჯეტო საბმართველოს მუშაკთა რიცხვი 10 პროცენტით შემცირდა.

ფინანსურ გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემა სამინისტროში მიმდინარე „იმ ექსპერიმენტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც თვალიწინებს სამეიჯეტო დაფუსებულებათა ფინანსური საქმიანობის კონტროლის სანიმუშო ორგანიზაციას. მისი მიზანია საბელმწიფო სახსრების ოპტიმალური ხარჯვა, ასიგნებათა გაუმართლებელი გამოყენების აღკვეთა. საეტალონო ბუღალტერიები, საბანიკიანი ბიუროებიდან რეგიზორთა ჯგუფები ხელს უწყობენ ხელფასის აღრიცხვის გამოანგარიშებას, მისი გაცემის ვადების ზუსტ დაცვას. აღკვეთავენ ფუნდად სახსრების უკანონო ხარჯვის შესაძლებლობას.

ცეკავშირი:
ბრიგადა ეძიებს

„ცეკავშირის" სისტემაში შემავალ საწარმოებში შარშან პროგრესული გამოცდილება, პერსპექტიული იდეები ეკონომიკის ისეთი მძლავრი ძრავა, როგორიც პროგრესული ტექნოლოგია, შრომის მაღალი ნაყოფიერება. მოწინავე გამოცდილების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ღრმა თვისებრივი ძვრების სამოსამართო წიგნი დღითი დღე ივსება ახალი კოორდინატებით. ახალი რუბრიკის მიზანია გავავცნოს არა მარტო ეკონომიკური ინფორმაცია, სიახლეთა მაღალი სოციალური ეფექტი, არამედ პროგრესული სახალხო წამოწყებების მოსამართებიც, რომელთა მეშვეობითაც ყველა დაინტერესებული ორგანიზაცია და დაწესებულება შეძლებს გაზარდოს თავისი საქმიანობის ეკონომიკური უკუგება.

მესტია: ოჯახური
იჯარის ეფექტი

მესტიის რაიონის მეურნეობებში ოჯახური იჯარის დანერგვის მეოხებით უშგულში ყოველი ოჯახის წლიური შემოსავალი ერთიორად გაიზარდა, იფარში — ერთ-ნახევარჯერ და შესაბამისად 2533 და 1761 მანეთი შეადგინა.

გაიზარდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაც: ხორცისა — 3,8 პროცენტით, რძისა — 35 პროცენტით უშგულში, ხოლო იფარში შესაბამისად 10 და 14 პროცენტით. შესამჩნევად იმატა საბჭოთა მეურნეობების მოგებამაც.

თელავი: ახალი
სამუშაო ადგილები

ქალაქისა და რაიონის 600 მცხოვრებმა, უმეტესწილად ქალებმა შეავსეს თელავის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. ეს მოხდა აქ საწარმოს რეკონსტრუქციის დამთავრების მეოხებით, რომელმაც წინანდელთან შედარებით ერთისამად გაზარდა მისი საწარმოო შესაძლებლობანი. მაგალითად, თუ 1984 წელს ფებრიკამ გამოუშვა 9,7 მილიონი მანეთის პროდუქცია, წელს ეს თანხა 28,5 მილიონს შეადგენს.

მოწყობილობის მოდერნიზაციას, რომელმაც მნიშვნელოვნად გაალამჯობესა შრომის პირობები, თან სდევდა ფართო სოციალური პროგრამის განხორციელება. აშენდა კლუბი, მედპუნქტი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი. ფართოდ გავრცელდა შინახელოსნობა,რაც მუშაობაში ქალებისა და პენსიონერების ჩაბმის საშუალებას იძლევა.

ROGORI TMSLIC ARIS, MOSAZVALIC ISETI IKNEBA

ხალხის სიბრძნეს ვერ შეედავები. ეს ანდაზაც, როგორც ფორმულა ზუსტ გამოანგარიშებაში, აწონასწორებს ბევრ სიტუაციას. ძნელია ზამთარმა და გაჭიანურებულმა გაზაფხულმა წელს მხვნელ-მთესველები აიძულეს, გაეფარეთ ბინაში სამინდის ნათესები, რათა მისი სიცხვის ხარჯზე აანაზღაურონ სტიქიის ჭირვეულობით გამოწვეული დანაკლისი.

რამდენი ვვალეა, სტიქიური უბედურება ყოფილა, იმდენჯერ დაზარალება სიმინდი მიწათმოქმედს. ეკსტრემალურ პირობებშიც კი, როცა ზაფხულში წვეთი წვიმაც არ მოსულა, მისი ნათესები იძლოდა მოსალოდნელზე გაციალებით მეტ მარცვლეულს.

„...უფრო სრულად გამოვიყენოთ სიმინდის დიდი შესაძლებლობანი", — ჩაწერილია ქვეყნის სასურსათო პროგრამაში. განსაზღვრულია მთლიანი მოსავლის გადიდების გზაც — მოვლა-მოყვანის შემდგომი სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, ინდუსტრიული ტექნოლოგია, სასელექციო მეშობის გაუჯობესება. დასახულის განხორციელება მნიშვნელოვანწილად მეთესლეობაზეც არის დამოკიდებული. მაგრამ ეს დარგი, ბაზგასმით აღინიშნა მეთესლეობის საკითხებისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ თათბირზე, მართალია, აღმავლობის გზაზეა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ასრულებს მთავარ როლს მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციაში.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ინდუსტრიულ საფუძველზე მეთესლეობის გადაყვანის დარგში. მარტო შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ძირითადად სამარცვლე კულტურებს უბეჭდისაელანი ჯიშებისა და ჰიბრიდების ხარჯზე 30 ათას ჰექტარამდე გაფართოეს სამეიმდოგომო მიხდვრის ნათესები. პირველად მრავალი წლის მანძილზე ფართობების 97 პროცენტი დაიკავა პირველი კლასის თესლმა. კარგად მიდის საქმე ახლანდელ სეზონშიც: საგაზაფხულო თესვისათვის მომზადებულია დასახულზე გაცილებით მეტი მაღალი კონდიციის თესლი. და ამ საქმეში დიდია საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, რესპუბლიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის" მეცნიერთა დამსახურება.

ამავე დროს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. მგელაძის მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დარგში არის ბევრი ნაკლიც, გადასაჭრელი პრობლემაც. ეს არის უწინარეს ყოვლისა ის, რომ რაიონული აგროსამეცნიერო გაერთიანებების, მეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯეროვნად არ აფასებს მეთესლეობის ძნიშვნელობას. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ ზრუნავს საკუთარი წარმოების თესლის ფონდის შექმნისათვის, ელის სახელმწიფოსგან სათესი მასალის მიღებას, მეტიც, მარნეულის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, რომელიც სახელმწიფო რესურსებიდან იღებს „უეფხო-1" და „ოდესტატი" ხორბლის ელიტერ თესლს, ახერხებს ისეთი პროდუქციის დამზადებას, რომელიც მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე ლ. ზაქაიძე (საქინფორმი).

შთაგონებული შრომის ზეიმი

შარშან კარგად იმუშავეს აჭარის შრომელებმა. რესპუბლიკური სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის და ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის აჭარის სსრ რესპუბლიკის მიენიჭა საქართველოს კომპარტიის, ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველად გიმარჯვეს და ავტონომიური რესპუბლიკიას დედაქალაქმა ბათუმმა, რომელსაც მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივის სასახლეში გადმართა ამ ჯილდოების გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. გ. უნგიაძემ.

შეკრებილებმა აღფრთოვანებით აირჩიეს სპატაკო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკ ცენტრალური კომიტეტის სახელით ამ ჯილდოებს ბრძოლა ეზეიმა ბ. ლ. ბერიაშვილი, ბ. ბ. ბერიაშვილი, ბ. ბ. ბერიაშვილი, ბ. ბ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მუდმივი კონტროლი დააწესა რესპუბლიკაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაზე. ამ დღეებში კომიტეტს ერთხელ კიდევ ამსჯელა ზოგიერთ საწარმოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და სათანადო დადგენილება მიიღო.

უყაირათობა არავის ეპატიება

მოგვიანებულია და ყაირათიანობის რეჟიმის გამკაცრების შესახებ პარტიისა და მთავრობის არაერთგზის მითითების მიუხედავად, როგორც შემოწმებით გამოვლინდა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თელეთის ექსპერიმენტალურ ქარხანასა და ცხინვალის ელექტრომოწყობილობის შემკეთებელ ქარხანაში, საქმიანარსებელშინის გარდაბნის სამონტაჟო ნამზადთა ქარხანაში უყაირათოდ და მდლანგველურად ხარჯავენ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს.

თელეთის ექსპერიმენტულ ქარხანაში არ დგებენ სტატისტიკურ ანგარიშებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯის შესახებ. ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმები ფორმალურია, წლიდან წლამდე მეორდება და არ სრულდება. ქარხანაში ორთქლსადენების გაუმართობისა და სარეზერვო სათბობის უქონლობის გამო სისტემატურად ცდება საქვაბე, ხოლო ქარხნის დირექტორმა თ. გიორგაძემ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ზომების მიღებისა და გასათბობი სისტემის გამართვის ნაცვლად არჩია აკრძალული გზა — შენობების გასათბობად შეისყიდა 19 ელექტრობუხარი.

23 კილოვატის სიმძლავრის ელექტროგასახურებელი ხელსაწყოებით შენობების გათბობის ფასი 1984 წლიდან ქარხანაში არ გადასინჯულა ელექტროენერგიის ხარჯის ნორმები. აქ საერთოდ არა აქვთ თბური ენერგიის წარმოების ნორმები.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამმართველო (უფროსი თ. იაშვილი) სათანადო ეკონომიკური ანალიზისა და ფაქტობრივი ხარჯვის აღრიცხვის გარეშე წლების განმავლობაში თელეთის ექსპერიმენტულ ქარხანას უმტკიცებს ელექტროენერგიის ხარჯვის გადიდებულ ნორმებს.

გარდაბნის სამონტაჟო ნამზადთა ქარხნის დირექტორი ვ. მეტრეველი არსებითად არ აკონტროლებს ეკონომიის რეზერვების გამოძებნისათვის საწარმოს ენერგეტიკული სამსახურის მუშობას, რის შედეგადაც ქარხანაში არ დგება ენერგორესურსების ეკონომიის მოგანზარცხებელ ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმები.

მოუწესრიგებელია საქვაბე-საღუმელი სათბობის ხარჯვისადმი კონტროლი და აღრიცხვა, ამის გამო სათბობს ჩამოსწერენ არა ფაქტობრივი ხარჯვის მიხედვით, არამედ — ქვაბის სპასპორტო მონაცემებით. არ ხდება მაზუთის ნაშთების ინვენტარიზაცია, რეზერვუარებზე არ არის მაკალიბრებელი ცხრილები. უფრო მეტიც, ქარხანაში იაროს ენერგეტიკული სამმართველოს ნებადაუთვლელად ტექნოლოგიური საჭიროებისათვის გამოიყენება 30 კილოვატის სიმძლავრის ელექტროენერგია, რომლის ელექტროენერგიის პირობითი წლიური ხარჯი 39,6 ათას კილოვატს, ანუ წლიური მოხმარების 5 პროცენტს შეადგენს.

ცხინვალის ელექტრომოწყობილობის შემკეთებელ ქარხანაში ენერგორესურსების მომზირნეობით და რაციონალური გამოყენებისათვის პასუხისმგებელი მთავარი ინჟინერის ა. ცაბალოვის უყურადღებობის შედეგად შარშან არა თუ არ შეასრულეს ეკონომიის დავალებანი, არამედ 1,2 ათასი მანეთის 39,7 ათასი კილოვატი ელექტროენერგია გადახარჯეს, ქარხანაში სისტემატურად არღვევენ სალმიტო დისციპლინას. გასულ წელს ლიმიტის გადახარჯვამ 167,1 ათასი კილოვატსაათი, ანუ 112,0 პროცენტი შეადგინა, ისევეისაც ქარხანამ ზედმეტად 1,5 ათასი მანეთი გადაიხადა.

ქარხნის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ უთმობს ენერგოზედამხედველობის მიერ ადრე გაკეთებულ მითითებებს. 7 მითითებიდან შესრულდა 4. დაუდგენრობის გამო კვლავ არადამაკმაყოფილებელია ქარხნის ელექტრომეურნეობის ტექნიკური მდგომარეობა.

ელექტროენერგია არარაციონალურად იხარჯება წყეულსაცტრანსფორმატორის გადადებული სიმძლავრის, დასვენების დღეებში მისი უქმი მუშაობის, ელექტროგასახურებელი ხელსაწყოების გამოყენების შედეგად ელექტროენერგიის ხარჯი 21,5 ათასი კვტსთ, ანუ წლიური მოხმარების 6,6 პროცენტს შეადგენს.

შემოწმებით გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტსა და საქმთავარმოტაჟისეტამ ენ სათბობენერგეტიკული რესურსების უფრო სრული და რაციონალური გამოყენებისათვის, მომზირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გამკაცრებისათვის არ არის ორგანიზებული სათანადო კონტროლი დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშაობისადმი.

შემოწმებული ქარხნების სახალხო კონტროლის ჯგუფები არსებითად არ აკონტროლებენ საწარმოთა მუშაობას, ენერგორესურსების ეკონომიის რეზერვების გამოვლენის მხრივ, არ ღებულობენ სათანადო დადამჭერელ ზომებს ყაირათიანობისა და მფლანგველობის ფაქტების აღსაკვეთად.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსს თ. იაშვილს, გარდაბნის სამონტაჟო ნამზადთა ქარხნის დირექტორს ვ. მეტრეველს შენიშვნა მიეცათ. ვ. მეტრეველი გაფრთხილებულია, რომ თუ არ მიიღებს ზომებს შემოწმებით გამოვლენილ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოსაფხვრელად, იგი მკაცრად დაისჯება. ცხინვალის ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი ქარხნის მთავარ ინჟინერს ა. ცაბალოვს გამოეცხადა საყვედური. მატერიალური ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით ა. ცაბალოვს დააკისრეს ერთი თვის ხელფასის გადახდა.

თელეთის ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორს თ. გიორგაძეს იმის გამო, რომ მან ვერ შესძლო ენერგორესურსების ეკონომიკური და რაციონალური გამოყენებისათვის ტექნიკურად და საბუთებული ნორმების დაწერა, სამმაილდ შესაბამისი ზომების მიღება, გამოეცხადა საყვედური.

ამასთან ვ. მეტრეველს, თ. გიორგაძესა და ა. ცაბალოვს დაეკალთ გამვლელნენ შრომითი კოლექტიების წინაშე ინფორმაციით შემოწმების შედეგებისა და გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მიღებული ზომების შესახებ.

თელეთის ექსპერიმენტული ქარხნის, ცხინვალის ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი ქარხნისა და გარდაბნის სამონტაჟო ნამზადთა ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფებს დაეკალთ შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგების შესახებ აცნობონ კომიტეტს 1985 წლის აპრილში.

ცხინვალის სახალხო კონტროლის საქალაქო და გარდაბნის რაიონულ კომიტეტებს დაეკალთ დახმარება გაუწიონ სახალხო კონტროლის ზემოაღნიშნულ ჯგუფებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მიმდინარეობისადმი ქმედითი კონტროლის ორგანიზაციაში, უყაირათობასთან, სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევებთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ანალიზი ადასტურებს

მეოთხე წელია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტი ანყობს რეგიონალური სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ გაწეული მუშაობის სისტემური ანალიზს. ამის მიზანია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საბოლოო დადებითი შედეგების მიხაღწევად სახალხო კონტროლის ორგანოების როლისა და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, საქმიანობის შემდგომი სრულყოფა. სწორედ ამიტომ ამა თუ იმ კომიტეტის მუშაობა ფასდება მოცემული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებასთან მჭიდრო კავშირში.

ახლა სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტში მიმდინარეობს შარშან გაწეული მუშაობის სისტემური ანალიზი. გთავაზობთ ბოლნისის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მუშაობის ანალიზის მასალებს.

წინა ანალიზის დროს გამოთქმული რეკომენდაციები ბოლნისის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა გათვალისწინა და ახლა უფრო ეფექტურად მუშაობს, სულ უფრო აღმჭიფლებს. შემოწმებების, მათ შედეგებზე მიღებული დადგენილებების ხარისხს, შესამოწმებელ საკითხთა უმრავლესობა რაიონის ეკონომიკის მდგომარეობის ეხება და ეხმიურება საკონტროლო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულების მიმდინარეობაზე. ამ მხრივ კომიტეტმა 6 შემოწმება მოაწყო რაიონის სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში, წინა წლებთან შედარებით ყურადღება დაეთმო კონტროლის დროულობას, მის პროფილაქტიკურ დანიშნულებას.

ასეთი მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოებმა თვიანთი წვლილი შეტანეს საბოლოო დადებითი შედეგების მიღწევის საქმეში. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფო გეგმები და გამოუშვეს 1,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ზრდის ტემპმა წინა წელთან შედარებით 105,9 პროცენტი შეადგინა. გეგმები გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მშენებლობაში, ტრანსპორტზე, მომსახურების სფეროში. წარმატებები ექნა მიღწეული სოფლის მეურნეობაშიც. სახელმწიფოს გეგმის ზეგით მიეყიდა 1.755 ტონა ხორცი, 507 ტონა რძე, 4022 ათასი ცალი კვერცხი, 2,5 ცენტნერი მატყლი, 88 ტონა ყურძენი, შესრულდა საადრეო კარტოფილის და ბოსტნეულის დამზადებისა და ჩაბარების გეგმები.

ეკონომიზესდა კომიტეტის საქმიანობა მიწერებისა და თვალის ახვევის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სოციალისტური საკუთრების დაცვის მხრივ. კომიტეტმა ამ საკითხებს 15 შემოწმება მიუძღვნა. ნიშანდობლივია ისიც, რომ 3 საკითხი, რომლებიც განხილული იქნა ჯგუფების ზონადიდებთ, სოციალისტური ქონების დაცვის საქმეში ინსპექტორ ნაკლოვანებებს შეეხებოდა. შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა წონა წელთან შედარებით 62 ათასი მანეთით მეტი ოდენობის ზარალი. რამდენიმე მასალა გადაეცა პროკურატურის ორგანოებს. აღსანიშნავია, რომ ახლა უფრო ორგანიზებულია მატერიალური პასუხისმგებელი პირებისგან ზარალის გადაგდებენება. მოწესრიგდა დამნაშავე პირების დისციპლინალური დასჯის პრაქტიკა. თუ წინა წელს იყო ერთი და იგივე თანამდებობის პირის რამდენჯერმე დასჯის ფაქტები, ამჟამად მეორე გამოკაზლისის გარდა, სხვანი შემთხვევები აღარ ყოფილა. ამის მიზეზია ისიც, რომ ერთი და იგივე ორგანოსაკის რამდენჯერმე შემოწმება მინიმუმამდე შემცირდა.

ისიც აღინიშნა, რომ კომიტეტმა მთლიანად ვერ აუბა მხარი დროის მოთხოვნებს. არც შარშან და არც წელს პერსპექტიულ გეგმებში არ არის გათვალისწინებული ბევრი აქტუალური საკითხი, რომლებიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი. ზოგიერთი დადგენილება არ გამხორხეგა სკითხების შესწავლის სიღრმით, აქტუალობით.

ამ და ზოგიერთი სხვა ნაკლოვანებათა მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ სახალხო კონტროლის ბოლნისის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელები პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან საქმეს, ყველა ზომებს იღებენ შენიშვნების, მითითებების გასათვალისწინებლად.

ბოლნისის სახალხო კონტროლის კომიტეტს მიეცა სათანადო რეკომენდაციები მუშაობის შემდგომი სრულყოფა-გაკაქიურებისათვის.

** აარგი განწყობილებით შრომობს დიადი გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტნგ ბალიანაძე, ბორბალი ავტომობილების ტაბანაშვილი, მთავარი მექანიკოსის განყოფილების უფროსი ოსტატი, კომბინატის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე მიხეილ ბახტაძე და ცვლის ოსტატი, კამეოლური ფრთის წარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე რუსუდან სახარულიძე (მარცხნიდან) მორიგი რეიდის დროს.**

ბ. შარაშენიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

შენიშვნა გამოითქვა, რა გაკეთდა?

სახალხო კონტროლიორთა საკავშირო თათბირის შედეგების განხილვისადმი მიძღვნილ სახალხო კონტროლიორთა კრებებზე, საქალაქო, რაიონულ, სოფლის და რესპუბლიკურ აქტიფებზე მრავალი საკუთრდებო შენიშვნა და წინადადება გამოთქვა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ეს შენიშვნები და წინადადებები გაანალიზა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა და სათანადო რეკომენდაციათაგან გადაუგზავნა შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ შენიშვნასა და წინადადებაზე მიღებულ პასუხებს.

ქარელის პოკომბინატის სახალხო კონტროლიორთა კრებაზე თქვა, რომ კომბინატის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო ტექნოლოგიური დანადგარები მოძველებულია, იქმნება კომბინატის გაჩერების საშიშროება. თეთრი წყაროს რაიონის კოოპერატივის სახალხო კონტროლიორებმა კი აღნიშნეს, რომ თეთრი წყაროს პურის საცხობი, რომელსაც ეკუთვნირის სამშენებლო ორგანიზაცია 1978 წლიდან აშენებს, დღესაც დაუთავრებელია.

როგორც ეკუთვნირის კომბინატის კოოპერატივი შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად გაიგზავნა ეკუთვნირის სამშენებლო-სარემონტო ორგანიზაციის სპეციალისტები. გასული წლის ბოლოსათვის აღადგინეს ორთქლის ქვაბი, დამონტაჟდა ერთი ცხომსაზელი და ერთი დამეუნდოვებელი, ეკალორიფერი შეკეთდა წყლის ავზები. მიმდინარე წლის ახალი დეფექტური აქტის საფუძველზე პიროკომბინატში ჩატარდა დამატებითი კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. რაც შეეხება თეთრ წყაროს პურის საცხობის მშენებლობას, მისი დამთავრება გათვალისწინებული 1985 წლისათვის.

ჯაზბამის რაიონის სნოს, კობის და გორისციხის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოებთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფების კრებებზე დაისვა საკითხი აღნიშნულ საბჭოებში შემავალი სოფლების რადიოფიცირებისა და ტელეგადაცემებით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილემ ვ. სალიბეგაშვილმა გვაცნობა, რომ სამინისტრომ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად სოფელ სნო უზრუნველყოფილია ტელეგადაცემებით, ხოლო კობისა და გორისციხის საბჭოებში შემავალი სოფლების ტელეფიკაციის საკითხს მომავალ წელს მეცნიერდებიან.

ამ სოფლების რადიოფიცირებისათვის სამინისტრომ დაკავეთი სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამზადებს მეცნიერსმძღვანელიან ავტომატიზებულ რადიოსადგურსა და ტელეფონ-კვლევრის მთიანი დასახლებული პუნქტებისათვის, რომლებიც მწყობრში ჩადგება უახლოეს წლებში.

ამასთანავე, როგორც სამინისტრომ გვაცნობა, კობის სასოფლო საბჭოს ჰქონდა რადიოსატანსლაციო ქსელის მეურნეობა, მაგრამ კოლმეურნეობის შენობა, სადაც მოთავსებული იყო რადიოკვანძი, დაინგრა. სხვა ფართი კი დღემდე გამოყოფილი არ არის. ამ საკმის მოგვარებისათვის სათანადო დაინტერესებას არ იჩენს სოფლის ხელმძღვანელობა, აღნიშნულ საკითხზე ხასრულა ეთხოვა ჯაზბამის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ალმასკოშის ხელმძღვანელობას.

მაკლების კონტროლით

ხაღხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 206

ვიდრე საქმე დანაშაულამდე მივიდოდეს

